<table>
<tr><td colspan="2">საქართველოს პროკურატურის გენდერული თანასწორობის 2022-2024 წლების
სამოქმედო გეგმის
2022-2023 წლების შესრულების ანგარიში</td></tr>
<tr><td colspan="2">საქართველოს პროკურატურის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის ხედვაა - გენდერულად მგრძნობიარე და დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემოს ხელშეწყობა, ქალებისა და კაცების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, ისარგებლონ კონსტიტუციით მინიჭებული ყველა უფლებით და გენდერულად მგრძნობიარე მართლმსაჯულების განხორციელება</td></tr>
<tr><td>მიზანი 1</td><td>საქართველოს პროკურატურაში თანასწორი და დისკრიმინაციისგან თავისუფალი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა და ქალთა გაძლიერების ხელშეწყობა

<u>მდგრადი განვითარების მიზნებთან კავშირი (SDG):</u> SDG 5.5. ნაციონალიზებული SDG სამიზნე: ქალების სრული და ეფექტიანი მონაწილეობა და ლიდერობის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში; SDG 5.5.2. მენეჯერულ პოზიციებზე ქალების პროცენტული წილი.</td></tr>
</table>

მიზნის ინდიკატორი	**ინდიკატორი 1.ა:** გენდერული თანასწორობის პოლიტიკის და ქალთა გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ინიციატივების რაოდენობა **საბაზისო:** 2 **შუალედური სამიზნე:** 4 **საბოლოო სამიზნე:** 6 **დადასტურების წყარო:** საქართველოს პროკურატურის ანგარიშები **ინდიკატორი 1.ბ:** საქართველოს პროკურატურაში მენეჯერულ პოზიციებზე ქალების წარმომადგენლობის პროცენტული წილი **საბაზისო:** 16% **შუალედური სამიზნე:** 15%-ით ზრდა **საბოლოო სამიზნე:** 25%-ით ზრდა **დადასტურების წყარო:** საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშები					
ამოცანა	ამოცანის ინდიკატორი, საბაზისო, სამიზნე, წყარო	საქმიანობა	ქვე-საქმიანობა	ინფორმაცია აქტივობის შესრულების შესახებ	პასუხისმგებელი უწყება / მხარდამჭერი	ვადა

მოცანა 1.1 საქართველოს პროკურატურაში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმებისა და პოლიტიკის გაძლიერება	**ინდიკატორი 1.1.ა:** საქართველოს პროკურატურაში გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის რეკომენდაციების რაოდენობა **საბაზისო:** 2 **შუალედური სამიზნე:** 4 **საბოლოო სამიზნე:** 6 **დადასტურების წყარო:** საქართველოს პროკურატურის ანგარიშები. **ინდიკატორი 1.1.ბ:** საქართველოს პროკურატურის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშების რაოდენობა **საბაზისო:** N/A	1.1.1 გენდერულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფის კომპეტენციის გაძლიერება	1.1.1.ა გენდერულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრებისთვის ტრენინგების ჩატარება გენდერული თანასწორობისა და მეინსტრიმინგის ინსტრუმენტების შესახებ	საქართველოს გენერალური პროკურორის 2022 წლის 15 მარტის ბრძანებით, საქართველოს პროკურატურაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე ორიენტირებული სტრატეგიის, სამოქმედო გეგმებისა და ღონისძიებების ეფექტიანად დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით, შეიქმნა გენდერულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფი. ჯგუფის კომპეტენციას გენდერული დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემოს უზრუნველყოფა, გენდერული მეინსტრიმინგის საკითხებზე საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა ინფორმირება, საქართველოს პროკურატურაში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის დანერგვა და ეფექტიანად აღსრულება წარმოადგენს. საერთაშორისო დონორ ორანიზაციებთან თანამშრომლობით, გენდერულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფისა და	საქართველოს პროკურატურა **მხარდამჭერი:** დონორი ორგანიზაციები	2022-2024

	შუალედური სამიზნე: 1 **საბოლოო სამიზნე:** 2 **დადასტურების წყარო:** საქართველოს პროკურატურის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშები. **ინდიკატორი 1.1.გ:** იმ თანამშრომელთა			მხარდაჭერის ჯგუფის წევრებისათვის, ასევე სექსუალური შევიწროების საკითხებზე პროკურატურის ტრენერებისათვის 2024 წელს დაგეგმილია ტრენინგი გენდერული თანასწორობისა და მეინსტრიმინგის ინსტრუმენტების შესახებ.		

	პროცენტული წილი, რომლებმაც გაიღრმავეს ცოდნა სექსუალური შევიწროების საკითხებზე **საბაზისო:** 6% **შუალედური სამიზნე:** 70% **საბოლოო სამიზნე:** 90% **დადასტურების წყარო:** ტრენინგების ანგარიშები; საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშები.		1.1.1.ბ გენდერულ საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ჩატარება (წელიწადში არანაკლებ ორი შეხვედრა)	გენდერული დისკრიმინაციისგან თავისუფალი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, 2022-2023 წლებში, საქართველოს პროკურატურაში ჩატარდა გენდერულ საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის 4 შეხვედრა. შეხვედრების ფარგლებში, გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრების მიერ გენერალური პროკურატურის ცალკეული დეპარტამენტებისთვის შესასრულებლად გაიცა 3 რეკომენდაცია.		
		1.1.2 საქართველოს პროკურატურის თანამშრომლების ინფორმირებულობის გაზრდა და შესაძლებლობების გაძლიერება უსაფრთხო, გენდერული დისკრიმინაციისაგ	1.1.2.ა საქართველოს პროკურატურის პროფესიული განვითარების ცენტრის თანამშრომლების და ტრენერების გადამზადება სექსუალური შევიწროების საკითხებზე	საქართველოს პროკურატურა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გენდერული ორგანიზაციული პოლიტიკის გაუმჯობესებასა და გენდერული მეინსტრიმინგის საკითხებზე პროკურატურის თანამშრომელთა ინფორმირებას. საქართველოს პროკურატურის თანამშრომლების ინფორმირებულობის გაზრდისა და	საქართველოს პროკურატურა **მხარდამჭერი**: დონორი ორგანიზაციები	2022-2024

		ან თავისუფალი სამუშაო გარემოსა და სექსუალური შევიწროების საწინააღმდეგო მექანიზმის შესახებ		შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, 2022-2023 წლებში სექსუალური შევიწროების საკითხებზე გადამზადდა საქართველოს გენერალური პროკურატურის პროფესიული განვითარების ცენტრის 4 თანამშრომელი.		
			1.1.2.ბ საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის ტრენინგის ჩატარება გენდერულად მგრძნობიარე სამუშაო გარემოს ძირითადი პრინციპების, სექსუალური შევიწროების პრევენციის და რეაგირების მექანიზმის შესახებ	საქართველოს პროკურატურაში უსაფრთხო, გენდერული დისკრიმინაციისაგან თავისუფალი სამუშაო გარემოსა და სექსუალური შევიწროების საწინააღმდეგო მექანიზმის შესახებ, საქართველოს პროკურატურის თანამშრომლების ინფორმირებულობის გაზრდისა და შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, 2022-2023 წლებში პროკურატურის თანამშრომლებისთვის სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის შესახებ ჩატარდა 29 სასწავლო აქტივობა და გადამზადდა პროკურატურის 597 თანამშრომელი, რაც პროკურატურის თანამშრომელთა საერთო რაოდენობის 74.6%-ს შეადგენს.		

			1.1.2.გ სექსუალური შევიწროების შემთხვევების განმხილველი მხარდაჭერის ჯგუფის წევრებისთვის ტრენინგის ჩატარება მსხვერპლზე ორიენტირებული სექსუალური შევიწროების შიდა მოკვლევის შესახებ	საქართველოს გენერალური პროკურორის 2022 წლის 15 მარტის ბრძანებით, საქართველოს პროკურატურაში სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შესწავლის მიზნით შექმნილია მხარდაჭერის ჯგუფი. პროკურატურაში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმითა და გენერალური პროკურორის ბრძანებით გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტიანად აღსრულების მიზნით, საერთაშორისო დონორ ორანიზაციებთან თანამშრომლობით, სექსუალური შევიწროების შემთხვევების განმხილველი მხარდაჭერის ჯგუფის წევრებისათვის 2024 წელს დაგეგმილია ტრენინგი მსხვერპლზე ორიენტირებული სექსუალური შევიწროების შიდა მოკვლევის შესახებ.		

		1.1.3. საქართველოს პროკურატურაში გენდერული მეინსტრიმინგის მექანიზმების ეფექტიანი დანერგვის ხელშეწყობა	1.1.3.ა ტრენინგის ჩატარება საბიუჯეტო და რელევანტური დეპარტამენტების თანამშრომელთათვის გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების შესახებ	საქართველოს პროკურატურაში გენდერული მეინსტრიმინგის მექანიზმების ეფექტიანი დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, 2022-2023 წლებში გენერალური პროკურატურის რელევანტური დეპარტამენტების თანამშრომლებისთვის, გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების საკითხებზე ჩატარდა 1 ტრენინგი და გადამზადდა გენერალური პროკურატურის 4 თანამშრომელი. ტრენინგზე მიმოიხილეს გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების ინსტიტუციონალიზაციის საერთაშორისო სტანდარტები, გენდერული ღიობი და უთანასწორობა სექტორებსა და პროგრამებში; გენდერული თანასწორობის ამოცანები, მიზნები და პრიორიტეტები; გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების ძირითადი კომპონენტები პროგრამული ბიუჯეტირების კონტექსტში; საერთაშორისო გამოცდილება და საბიუჯეტო პროგრამებში გენდერული	საქართველოს პროკურატურა **მხარდამჭერი:** დონორი ორგანიზაციები	2022-2024

				თანასწორობის ინტეგრირების მიმდინარე სტატუსი.		

			1.1.3.ბ პროკურატურის პოლიტიკის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი დეპარტამენტების თანამშრომლების გადამზადება გენდერული ზეგავლენის შეფასების შესახებ	საქართველოს პროკურატურა პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისა და ცალკეული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის განსაზღვრისას, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გენდერული გავლენის შეფასებას (GIA), პოლიტიკისა და პროგრამის ანალიზს, რომელიც პრევენციული გზით საშუალებას იძლევა დადგინდეს მოცემული გადაწყვეტილების სავარაუდო დადებითი, უარყოფითი ან ნეიტრალური გავლენა ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის მდგომარეობაზე. უწყება აცნობიერებს, რომ გენდერული ზეგავლენის შეფასება არის პოლიტიკის შესაქმნელად საჭირო, მტკიცებულებებზე დაფუძნებული, სასარგებლო ინსტრუმენტი, რომლის მიზანია დაადგინოს კანონმდებლობა, პოლიტიკა ან პროგრამა ამცირებს, ინარჩუნებს თუ ზრდის ქალებსა და კაცებს შორის გენდერულ უთანასწორობებს. 2022-2023 წლებში, გენდერული ზეგავლენის შეფასების შესახებ		

				ჩატარდა 1 სასწავლო აქტივობა. აქტივობის ფარგლებში გადამზადდა პროკურატურის პოლიტიკის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი დეპარტამენტების 10 თანამშრომელი. ტრენინგის ფარგლებში მიმოიხილეს გენდერული თანასწორობის ძირითადი ცნებები და პრინციპები, გენდერული თანასწორობის ნორმატიული ჩარჩო და ინსტიტუციური მექანიზმები, გენდერული გავლენის შეფასების (Gender Impact Assessment - GIA) სარგებელი და გამოყენება; გენდერული გავლენის შეფასების შემადგენელი ნაბიჯები: გენდერული შესაბამისობის შეფასება; გენდერული გავლენის გაზომვა და გენდერული ხარისხის შეფასება.		
			1.1.3.გ სპეციალიზაციის სასწავლო პროგრამების განსახორციელებლად ბიუჯეტის გათვალისწინება (იმ შემთხვევისათვის, თუ დონორი ორგანიზაციები ვერ უზრუნველყოფენ	საქართველოს პროკურატურის განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართულია პროკურატურის თანამშრომელთა განგრძობადი განათლებისკენ. კვალიფიკაციის ამაღლებისა და საპროკურორო საქმიanობის ხარისხის გაუმჯობესების, ასევე		

			ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას)	სპეციალიზაციის სასწავლო პროგრამების განხორციელებისა და სპეციალიზებულ პროკურორთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საქართველოს პროკურატურის 2023 და 2024 წლების ბიუჯეტში სასწავლო აქტივობების დასაფინანსებლად თანხები გათვალისწინებულია.		
		1.1.4 საქართველოს პროკურატურაში გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერების პოლიტიკის ეფექტიანი მონიტორინგი და შეფასება	1.1.4.ა გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშის შემუშავება	საქართველოს პროკურატურაში ჩატარებული გენდერული აუდიტის რეკომენდაციების გათვალისწინებით, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) ექსპერტული მხარდაჭერით, საქართველოს გენერალური პროკურორის 2022 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებებით, დამტკიცდა პროკურატურის 2022-2027 წლების გენდერული თანასწორობის სტრატეგია და 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა. საქართველოს პროკურატურის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის ეფექტიანად შესრულების მონიტორინგს ახორციელებს გენერალური პროკურატურის ადამიანის	საქართველოს პროკურატურა **მხარდამჭერი:** დონორი ორგანიზაციები	2022-2024

				უფლებათა დაცვის დეპარტამენტი. დეპარტამენტის მიერ მომზადდა სამოქმედო გეგმის 2022-2023 წლების წინამდებარე შესრულების ანგარიში.		
			1.1.4.ბ გენდერული თანასწორობის და გენდერული მეინსტრიმინგის მხარდასაჭერად დახარჯული თანხების მონიტორინგისა და ანგარიშგების მექანიზმის დანერგვა	საქართველოს პროკურატურაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე ორიენტირებული სტრატეგიის, სამოქმედო გეგმებისა და ღონისძიებების ეფექტიანად დაგეგმვა და განხორციელება გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის კომპეტენციაა. შესაბამისად, საქართველოს პროკურატურაში გენდერული თანასწორობის და გენდერული მეინსტრიმინგის მხარდასაჭერად დახარჯული თანხების მონიტორინგისა და ანგარიშგების მექანიზმის უზრუნველსაყოფად, ხორციელდება საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტზე გახარჯული შრომის ანაზღაურების თანხებისა და პროკურატურის შრომის ანაზღაურების თანხების სქესის		

				მიხედვით სეგრეგირებული ინფორმაციის აღრიცხვა.		
ამოცანა 1.2 საქართველოს პროკურატურაში დასაქმებულ ქალთა გაძლიერება და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ქალებისა და კაცებისათვის	**ინდიკატორი 1.2.ა:** ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში გენდერული მეინსტრიმინგის მხარდამჭერი ინიციატივების რაოდენობა **საბაზისო:** N/A**შუალედური სამიზნე: 5საბოლოო სამიზნე:** 10**დადასტურების წყარო:** საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშები.**ინდიკატო**	1.2.1 ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში გენდერულად მგრძნობიარე მიდგომების დანერგვა	1.2.1.ა საქართველოს პროკურატურაში ქალების მენეჯერულ პოზიციებზე დანიშვნის, დაწინაურების შესახებ არსებული მდგომარეობის და ბარიერების შესწავლა	საქართველოს პროკურატურაში ქალების მენეჯერულ პოზიციებზე დანიშვნისა და დაწინაურების შესახებ არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით, ევროკავშირის თანასწორობისთვის რეფორმების განხორციელებაში დახმარების ტექნიკური ჯგუფის (EU4Gender Equality Reform Heldpesk) თანამშრომლობის ფარგლებში, პროკურატურაში ქალების მენეჯერულ პოზიციებზე დანიშვნის, დაწინაურების შესახებ არსებული მდგომარეობისა და ბარიერების შესწავლის მიზნით, განხორციელდა სამუშაო შეხვედრები და დაიგეგმა სამომავლო აქტივობები.	საქართველოს პროკურატურა **მხარდამჭერი:** დონორი ორგანიზაციები	2022-2024

	რი 1.2.ბ: შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირებული ინიციატივებით/ პროგრამებით მოსარგებლე პროკურატურის ქალი თანამშრომლების რაოდენობა**საბაზისო:** 203**შუალედური სამიზნე:** 15%-ით ზრდა**საბოლოო სამიზნე:** 30%-ით ზრდა**დადასტურების წყარო:** საქართველოს პროკურატურის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშები.		1.2.1.ბ ადამიანური რესურსების მართვის მარეგულირებელი წესის გადახედვა და შესაძლებლობისამებრ გენდერული საკითხების ინტეგრირება	საქართველოს პროკურატურაში დასაქმებულ ქალთა გაძლიერების, ქალებისა და კაცებისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისა და გენდერული საკითხების შესაბამისი წესის ინტეგრირების მიზნით, მიმდინარეობს ადამიანური რესურსების მართვის მარეგულირებელი წესების გადახედვა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, საქართველოს პროკურატურამ ითანამშრომლა ევროკავშირის გენდერული თანასწორობისთვის რეფორმების განხორციელებაში დახმარების ტექნიკურ ჯგუფთან (EU4Gender Equality Reform Heldpesk). ამჟამად, დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერით, მიმდინარეობს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.		

			1.2.1.გ საქართველოს პროკურატურაში არსებულ სხვადასხვა საბჭოებში/ კომისიებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის ხელშემწყობი მექანიზმის დანერგვა	საქართველოს პროკურატურაში მენეჯერულ პოზიციებზე ქალების წარმომადგენლობის პროცენტული წილის გაზრდის მიზნით, 2022 წელს გენერალური პროკურატურის დანაყოფის (სამმართველოს) მოადგილის პოზიცია დაიკავა 1-მა ქალმა თანამშრომელმა. აღნიშნულით, საქართველოს პროკურატურაში მენეჯერულ პოზიციებზე 2021 წელს მყოფი ქალების რაოდენობა (16 ქალი) გაიზარდა 6.25%-ით. 2022 წელს საქართველოს პროკურატურის ქალ თანამშრომელთა 36.3%-ს სამსახურებრივი მოვალეობის ჯეროვნად შესრულებისთვის გამოეცხადა მადლობა, რაც აღემატებოდა თანამშრომელ კაცთა მონაცემს (35.8%), რომელთაც ასევე გამოეცხადათ მადლობა. ამავე წელს, სახელმწიფო სპეციალური წოდება ვადაზე ადრე მიენიჭა საქართველოს პროკურატურის ქალ თანამშრომელთა 11.2%-ს. აღნიშნული მონაცემი აღემატებოდა ვადამდე სპეციალური წოდების მქონე კაც თანამშრომელთა		

				მონაცემს (10.9%); საქართველოს პროკურატურაში ქალი თანამშრომლების წახალისების მიზნით, 2023 წელს, წინა წელთან შედარებით გაიზარდა ქალთა წარმომადგენლობა სხვადასხვა პოზიციებზე, კერძოდ: საპროკურორო საბჭოს ადმინისტრაციული კომიტეტის შემადგენლობაში ქალთა წარმომადგენლობა 25%-დან გაიზარდა 56%-მდე; პროკურატურის საპატიო თანამშრომლის ტიტული მიიღო ქალ თანამშრომელთა 1.8%-მა, რაც აღემატება საპატიო ტიტულის მქონე თანამშრომელ კაცთა მონაცემს (1.3%). წლის საუკეთესო პროკურორის ტიტული 2023 წელს პირველად ქალმა პროკურორმა მიიღო; წინა წლის მსგავსად, პროკურატურაში დასაქმებულ პროფესიულ საჯარო მოხელეთა საერთო რაოდენობის 86% ქალია;		

				საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 21 აგვისტოს N036 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა რანგირების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად, 2022 წელს რანგში დაწინაურებულ ქალ თანამშრომელთა მონაცემი 9.4% გაუმჯობესდა და შეადგინა 10.4% აღნიშნული მაჩვენებელი თავის მხრივ აღემატება რანგში დაწინაურებულ თანამშრომელ კაცთა 2022 და 2023 წლების მონაცემებს 6.6%- 9,9%. საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, პროკურატურაში შექმნილია სხვადასხვა საბჭო, კომისია და სამუშაო ჯგუფი, რომლებშიც გაიზარდა ქალთა წარმომადგებლობა. კერძოდ: 1. საქართველოს გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანოს – სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე დაზარალებულთა საჩივრების განმხილველი საბჭოს 60% ქალია; 2. საპრეტენზიო საბჭოს 60% ქალია,		

				მათ შორის საბჭოს თავმჯდომარე ქალია; 3. საქართველოს პროკურატურაში გენდერულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფის 80% ქალია. ამასთან, ჯგუფის ხელმძღვანელი ქალია; 4. საქართველოს პროკურატურაში საჯარო ინფორმაციის მიღებაზე, დამუშავებაზე, შექმნასა და დაცვაზე პასუხისმგებელი ჯგუფის 67% ქალია; 5. საქართველოს პროკურატურაში სექსუალური შევიწროების საქმის განმხილველი მხარდაჭერის ჯგუფის 67% ქალია. 6. საქართველოს პროკურატურის სატენდერო კომისიის თავმჯდომარე ქალია; 7. საქართველოს პროკურატურის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელი საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ქალია; ასევე, გენერალური პროკურორის ბრძანებით შექმნილ სამდივნოებში ქალთა წარმომადგენლობა შემდეგია: 1. საქართველოს გენერალური		

				პროკურორის სათათბირო ორგანოს - რანგირების საბჭოს სამდივნოს 75% ქალია, მათ შორის ქალია სამდივნოს უფროსი; 2. საქართველოს პროკურატურის სტაჟირების გავლის კომისიის სამდივნოს 75% ქალია, მათ შორის ქალია სამდივნოს უფროსი; 3. საქართველოს პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდის კომისიის სამდივნოს 75% ქალია, მათ შორის ქალია სამდივნოს უფროსი. 2022 წელს, საქართველოს პროკურატურაში ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის თემაზე მენტორობის მეორე პროგრამა წარმატებით განხორციელდა, ხოლო 2023 წელს დაიწყო მენტორობის პროგრამის მესამე ეტაპი. პროგრამის ორივე ეტაპზე, ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის თემაზე მენტორებად შეირჩა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე სპეციალიზებული 10 ქალი პროკურორი, რომლებმაც		

				სიღრმისეული გადამზადება გაიარეს.		

			1.2.1.დ შესაბამისი სამსახურის თანამშრომლების ტრენინგების ჩატარება გენდერულად მგრძნობიარე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ	საქართველოს პროკურატურისთვის გენდერულად მგრძნობიარე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განხორციელება პრიორიტეტია. აღნიშნული მიზნით, 2022-2023 წლებში, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო სასწავლო აქტივობაში, რომელიც მოიცავდა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში გენდერულად მგრძნობიარე მიდგომის საკითხებს.		

		1.2.2 პროკურატურის თანამშრომელთა ინფორმირებულობის გაზრდა და შესაძლებლობების გაძლიერება გენდერული თანასწორობის და გენდერული მეინსტრიმინგის საკითხებზე	1.2.2.ა გენდერული თანასწორობისა და გენდერული მეინსტრიმინგის საკითხებზე პროკურატურის თანამშრომლებისთვის ტრენინგების ჩატარება	საქართველოს პროკურატურაში გენდერული თანასწორობის და გენდერული მეინსტრიმინგის საკითხებზე, თანამშრომელთა ინფორმირებულობის გაზრდისა და შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, გენდერული თანასწორობისა და გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ 2022 წელს საქართველოს პროკურატურის 10 თანამშრომელი გადამზადდა. ამასთან, გენდერული თანასწორობის საკითხები ინტეგრირებული იყო ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის, ოჯახური და სქესობრივი დანაშაულების, ასევე სექსუალური შევიწროების სასწავლო აქტივობებში. ჯამში ჩატარდა 42 სასწავლო აქტივობა და გადამზადდა 734 თანამშრომელი. 2023 წელს გენდერული თანასწორობის საკითხებზე პროკურატურის თანამშრომლებისთვის ჩატარდა 7 სასწავლო აქტივობა და გადამზადდა 73 თანამშრომელი. დამატებით, 1 სასწავლო აქტივობა მოიცავდა გენდერული	საქართველოს პროკურატურა **მხარდამჭერი:** დონორი ორგანიზაციები	2022-2024

				თანასწორობის საკითხებს და მონაწილეობდა საქართველოს პროკურატურის 3 თანამშრომელი.		

			1.2.2.ბ საქართველოს პროკურატურის პროფესიული განვითარების ცენტრის თანამშრომელთა და ტრენერების გადამზადება და კომპეტენციის ზრდა გენდერული თანასწორობის საკითხებზე	საქართველოს პროკურატურაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე კომპეტენციის გაზრდის მიზნით, 2022 წელს გენდერული ზეგავლენის შეფასების თემაზე გადამზადდა გენერალური პროკურატურის პროფესიული განვითარების ცენტრის 2 თანამშრომელი, ხოლო სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმების შესახებ გადამზადდა 4 თანამშრომელი. 2022 წელს, საქართველოს პროკურატურაში ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის თემაზე, მენტორობის მეორე პროგრამა წარმატებით განხორციელდა, ხოლო 2023 წლის 16 ნოემბერს დაიწყო მენტორობის პროგრამის მესამე ეტაპი. პროგრამების დაწყებას წინ უძღოდა 2022 წლის 21-23 ივნისსა და 2023 წლის 5-7 სექტემბერს, ქ. ბუდაპეშტში, ქალებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თემაზე განხორციელებული ტრენერთა ტრენინგი, სადაც აღმოსავლეთ		

				პარტნიორობის ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს პროკურატურიდან ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე სპეციალიზებულმა 10-მა ქალმა პროკურორმა სიღრმისეული გადამზადება გაიარა. მენტორობის პროგრამის მეორე ეტაპის ფარგლებში, ხუთმა გადამზადებულმა პროკურორმა ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის თემაზე, მენტორობა სპეციალიზებულ 10 პროკურორს გაუწია. ამჟამად, აქტიურად მიმდინარეობს მენტორობის პროგრამის მესამე ეტაპი, რომლის ფარგლებში ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის საქმეებზე სპეციალიზებული 5 პროკურორი მენტორობას 12 თვის განმავლობაში გაუწევს 10 პროკურორს. მენტორობის პროგრამა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავს.		

ამოცანა 1.3 საქართველოს პროკურატურაში სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების წარმოების და ანალიზის გაუმჯობესება, გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის დაგეგმვისა და შეფასებისთვის	**ინდიკატორი 1.3.ა:** პროკურატურის ადამიანური რესურსების შესახებ მონაცემთა შეგროვების და სტატისტიკის წარმოების ერთიანი მეთოდოლოგია შემუშავებულია **საბაზისო:** ნაწილობრივ **შუალედური სამიზნე:** მიმდინარეობს მუშაობა **საბოლოო სამიზნე:** შემუშავებულია და ხელმისაწვდომია **დადასტურების წყარო:** საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშები. **ინდიკატორი 1.3.ბ:** საქართველოს პროკურატურაში ადამიანური რესურსების მართვის	1.3.1 საქართველოს პროკურატურაში ადამიანური რესურსების სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების სისტემის გაძლიერება	1.3.1.ა პროკურატურის ადამიანური რესურსების გენდერული სტატისტიკის წელიწდეულის შემუშავება, სადაც თავმოყრილი იქნება სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემები	საქართველოს პროკურატურის ადამიანური რესურსების შესახებ მონაცემთა შეგროვებისა და სტატისტიკის წარმოების ერთიანი მეთოდოლოგიის გაუმჯობესების მიზნით, გენერალური პროკურატურის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტში ყოველდღიურად მუშავდება სქესის მიხედვით სეგრეგირებული მონაცემები. 2022-2023 წელს დეპარტამენტმა უზრუნველყო პროკურატურის თანამშრომელთა სქესის მიხედვით სეგრეგირებული შემდეგი სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვა: 1. პროკურატურაში დასაქმებული ქალებისა და მამაკაცების რაოდენობა; 2. პროკურატურაში მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებული ქალებისა და მამაკაცების რაოდენობა; 3. პროკურორის პოზიციაზე დასაქმებული ქალებისა და მამაკაცების რაოდენობა; 4. პროკურატურის გამომძებლის პოზიციაზე დასაქმებული ქალებისა და მამაკაცების რაოდენობა;	საქართველოს პროკურატურა **მხარდამჭერი:** დონორი ორგანიზაციები	2022-2024

	ელექტრონული პროგრამა შექმნილია **საბაზისო:** დაწყებულია **შუალედური სამიზნე:** ნაწილობრივ **საბოლოო სამიზნე:** შექმნილია **დადასტურების წყარო:** საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშები. **ინდიკატორი 1.3.გ:** საქართველოს პროკურატურაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე ჩატარებული თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების რაოდენობა **საბაზისო:** 1 **შუალედური სამიზნე:** 2 **საბოლოო სამიზნე:** 3			5. პროკურატურის საჯარო მოხელის პოზიციაზე დასაქმებული ქალებისა და მამაკაცების რაოდენობა; 6. ქალებისა და მამაკაცების რაოდენობა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებში; 7. ქალებისა და მამაკაცების რაოდენობა სტაჟიორებში; 8. ქალებისა და მამაკაცების რაოდენობა დაწინაურებულ თანამშრომლებში; 9. ქალებისა და მამაკაცების რაოდენობა ახალდანიშნულ თანამშრომლებს შორის; 10. უწყებიდან წასული მამაკაცების და ქალების რაოდენობა; 11. დეკრეტული ანაზღაურების მიმღები მამაკაცებისა და ქალების რაოდენობა.		
			1.3.1.ბ საქართველოს პროკურატურაში ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამის შექმნა	საქართველოს პროკურატურაში ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის გაუმჯობესება, როგორც სტრატეგიული მიზანი, ემსახურება მდგრადი განვითარების N5 – „გენდერული თანასწორობა“, N8 – „ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა“, N12 - „მდგრადი მოხმარება და წარმოება“	საქართველოს პროკურატურა **მხარდამჭერი:** დონორი ორგანიზაციები	

	დადასტურების წყარო: კვლევის ანგარიშები.			და N16 - „მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები“ - მიზნების შესრულებას. ადამიანური რესურსების მენეჯმენტის პროგრამული უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პროკურატურაში მიმდინარეობს ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამის შემუშავება, რომელშიც ინტეგრირებული იქნება უწყებაში დასაქმებული თანამშრომლების ერთიანი მონაცემები.		
		1.3.2 თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემთა შეგროვება და ანალიზი გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის დაგეგმვისა და შეფასებისთვის	1.3.2.ა პროკურატურაში დანერგილ სოციოლოგიურ კვლევებში გენდერული თანასწორობის საკითხების გათვალისწინება (წელიწადში არანაკლებ 1)	საქართველოს პროკურატურაში დანერგილია "თანამშრომელთა დამოკიდებულებების კვლევის" კითხვარი, რომლის მიზანს წარმოადგენს თანამშრომელთა მოსაზრებების შესწავლა პროკურატურის სისტემაში არსებული მდგომარეობის შესახებ. კვლევის შედეგები უწყებას ეხმარება სწორად მოახდინოს არსებული პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება, შესაბამისად დაგეგმოს სხვადასხვა აქტივობა, რაც ხელს შეუწყობს თანამშრომელთა სამუშაო გარემოს	საქართველოს პროკურატურა **მხარდამჭერი:** დონორი ორგანიზაციები	2022-2024

				გაუმჯობესებას. საქართველოს პროკურატურაში დანერგილ „თანამშრომელთა დამოკიდებულებების კვლევის“ კითხვარში გაიწერა შეკითხვები გენდერული თანასწორობის საკითხებზე. განახლებული კითხვარის შესაბამისად, 2024 წელს დაგეგმილია თანამშრომელთა დამოკიდებულებების კვლევის განხორციელება.		
მიზანი 2	**საქართველოს პროკურატურაში ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გენდერულად მგრძნობიარე მართლმსაჯულების განხორციელება საერთაშორისო სტანდარტებთან და რეკომენდაციებთან კავშირი: მდგრადი განვითარების მიზნები (SDG) :** SDG 16. მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასთვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია)						

მიზნის ინდიკატორი	**ინდიკატორი 2.ა:** საქართველოს პროკურატურის საქმიანობაში გენდერულად მგრძნობიარე მიდგომების მხარდასაჭერად შესრულებული ინიციატივების რაოდენობა **საბაზისო:** 2 **შუალედური სამიზნე:** 5 **საბოლოო სამიზნე:** 10 **დადასტურების წყარო:** საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშები.					
ამოცანა	**ამოცანის ინდიკატორი, საბაზისო, სამიზნე, წყარო**	**საქმიანობა**	**ქვე-საქმიანობა**	**ინფორმაცია აქტივობის შესრულების შესახებ**	**პასუხისმგებელი უწყება / მხარდამჭერი**	**ვადა**

ამოცანა 2.1 საქართველოს პროკურატურაში გენდერულად მგრძნობიარე საგამოძიებო და საპროკურორო საქმიანობის განხორციელება	**ინდიკატორი 2.1.ა:** იმ პროკურორების და გამომძიებლების რაოდენობა, რომლებიც გადამზადდნენ ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის, ოჯახური დანაშაულის და სქესობრივი დანაშაულის თემაზე **საბაზისო:** 25% **შუალედური სამიზნე:** 15%-ით ზრდა **საბოლოო სამიზნე:** 30%-ით ზრდა **დადასტურების წყარო:** ტრენინგების ანგარიშები. **ინდიკატორი 2.1.ბ:** გაზრდილია ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სისხლისსამართლებრ	2.1.1 ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე სისხლის სამართლის ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელება	2.1.1.ა ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის, ოჯახური დანაშაულის და სქესობრივი დანაშაულის შესახებ გამამართლებელი განაჩენებისა და და სასჯელების დანიშვნის პრაქტიკის ანალიზი, რათა ზუსტად განისაზღვროს გარემოებები, რომლებსაც მხედველობაში იღებს სასამართლო სასჯელების დანიშვნისას 2.1.1.ბ სასამართლოს იმ განჩინებების ანალიზი, რომლითაც არ დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, რათა ზუსტად განისაზღვროს გარემოებები, რომლებსაც	საქართველოს პროკურატურისთვის ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე ეფექტიანი სისხლის სამართლის პოლიტიკისა და საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელება პრიორიტეტია. საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვისა და საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტები ყოველდღიურად სწავლობენ ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის, ასევე სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების სისხლის სამართლის საქმეებს. შესწავლის ერთ-ერთ მიმართულებას, ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის, ასევე სქესობრივი დანაშაულის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის ანალიზი წარმოადგენს. გენერალური პროკურატურის საპროკურორო	საქართველოს პროკურატურა	2022-2024

	ივი დევნის დაწყების მაჩვენებელი **საბაზისო:** 732 **შუალედური სამიზნე:** 3%-ით ზრდა **საბოლოო სამიზნე:** 5%-ით ზრდა **დადასტურების წყარო:** საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში. **ინდიკატორი 2.1.გ:** პროკურორებისთვის		მხედველობაში იღებს სასამართლო აღკვეთის ღონისძიებების შეფარდებისას	საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტში დაიდენტიფიცირდა ქალთა მიმართ ძალადობაზე, ოჯახურ და სქესობრივ დანაშაულებზე სასამართლო გადაწყვეტილებების პრაქტიკის ანალიზისთვის საჭირო მონაცემები და შემუშავდა კვლევის მეთოდოლოგია. შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, ოჯახური და სქესობრივი დანაშაულების სისხლის სამართლის საქმეებზე შესწავლილია გამამართლებელი განაჩენები და გაანალიზდა სასჯელების გამოყენების პრაქტიკა, რათა ზუსტად განისაზღვროს გარემოებები, რომლებსაც მხედველობაში იღებს სასამართლო სასჯელების შეფარდებისას. გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტში გაანალიზდა ქალთა გენდერულად მოტივირებული მკვლელობების (ფემიციდის) სისხლის სამართლის საქმეები და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები		

	და პროკურატურის გამომძიებლებისთვის ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე შემუშავებული/ განახლებული სახელმძღვანელო მითითებების რაოდენობა **საბაზისო:** 2 **შუალედური სამიზნე:** 3 **საბოლოო სამიზნე:** 5 **დადასტურების წყარო:** საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშები. **ინდიკატორი 2.1.დ:** გენდერული ძალადობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე			დაიდენტიფიცირდა ფემიციდის წინააღმდეგ ბრძოლის ტენდენციები, მიღწევები და გამოწვევები. ფემიციდის სისხლის სამართლის საქმეებში გენდერული დისკრიმინაციის მოტივის იდენტიფიცირების შემთხვევები; ისეთი მნიშვნელოვანი კრიმინოლოგიური ასპექტები, როგორებიცაა: ოჯახური და არა ოჯახური ფემიციდი, ინტიმური და არა ინტიმური ფემიციდი, ტრანსფობიური და ასოციაციური ფემიციდი; დანაშაულის ჩადენის ადგილთან და იარაღთან დაკავშირებული გარემოებები და სხვა კრიმინოლოგიური ასპექტები. ანგარიში ქართულ და ინგლისურ ენაზე საჯაროდ ხელმისაწვდომია საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე (https://pog.gov.ge/uploads/3a43d454-femicidi-2014-2022-GEO.pdf , https://pog.gov.ge/uploads/007f81e3-Femicide-2014-2022-ENG.pdf); ამასთან, 2023 წელს, ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტში მომზადდა 2022 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი -		

	გაანალიზებული სასამართლოს გამამართლებელი გადაწყვეტილებების რაოდენობა **საბაზისო:** N/A **შუალედური სამიზნე:** 100% **საბოლოო სამიზნე:** 100% **დადასტურების წყარო:** საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშები. **ინდიკატორი 2.1.ე:** სტამბოლის კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად, ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის, ოჯახური დანაშაულის და სქესობრივი დანაშაულის შესახებ სტატისტიკური			„გენდერული დისკრიმინაციის მოტივი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებში“. სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი მოიცავს გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების კრიმინოლოგიურ და სისხლისსამართლებრივ ასპექტებს, ბრალდებულისა და დაზარალებულის მახასიათებლებს, დანაშულის ჩადენის ადგილთან და ძალადობის ფორმასთან დაკავშირებულ გარემოებებს, არსებულ ტენდენციებსა და გამოწვევებს. ანგარიში ქართულ და ინგლისურ ენაზე საჯაროდ ხელმისაწვდომია საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე (https://pog.gov.ge/uploads/a97a2799-genderuli-diskriminaciis-motivi-2022.pdf ; https://pog.gov.ge/uploads/0e107821-Gender-Analysis-2022.pdf) (2.1.1.ა). საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა		

	მონაცემები აღრიცხულია და ყოველწლიურად ახლდება/ ქვეყნდება საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე **საბაზისო:** ნაწილობრივ **შუალედური სამიზნე:** სრულდება **საბოლოო სამიზნე:** სრულდება **დადასტურების წყარო:** საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდი. დანაშაულის და სქესობრივი დანაშაულის შესახებ სტატისტიკური მონაცემები აღრიცხულია და ყოველწლიურად ახლდება/ქვეყნდება			და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტში გაანალიზდა სასამართლოს განჩინებები, რომლითაც არ დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, რათა ზუსტად განისაზღვროს გარემოებები, რომლებსაც მხედველობაში იღებს სასამართლო აღკვეთის ღონისძიებების შეფარდებისას (2.1.1.ბ).		

	საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე	2.1.2 ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, ოჯახში ძალადობის და სქესობრივი დანაშაულების გამოვლენისა და გამოძიების ეფექტიანი მექანიზმების გაძლიერება	2.1.2.ა სახელმძღვანელო მითითების განახლება „ოჯახში ძალადობის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ“	საქართველოს პროკურატურა მუდმივად ზრუნავს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის პრაქტიკის გაუმჯობესებაზე, ტენდენციების შესახებ ახდენს პროკურორების ინფორმირებას და მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ხელს უწყობს პროკურორებისა და მოსამართლეების საერთო მიდგომების ჩამოყალიბებას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და საერთო მიდგომების ჩამოყალიბების მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტში პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლებისთვის განახლდა „ოჯახში ძალადობის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითება.	საქართველოს პროკურატურა	2022-2024

			2.1.2.ბ სახელმძღვანელო მითითების შემუშავება "გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობის შესახებ"	საერთაშორისო სამართლებრივი აქტების, რეკომენდაციების, კონვენციათა განმარტებითი ანგარიშების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, შემდგომი დარღვევების თავიდან ასაცილებლად, გადაწყვეტილებათა აღსასრულებლად და მსხვერპლთა უფლებრივი მდგომარეობის აღსადგენად საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტში პროკურორებისთვის შემუშავდა სახელმძღვანელო მითითებები: „გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობის შესახებ“; „ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის საქმეებზე საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებათა ეფექტიანი აღსრულების შესახებ“ და "ფემიციდის სისხლის		

				სამართლის საქმეების მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ".		
			2.1.2.გ „სისხლის სამართლის კოდექსის 11^1 და 126^1 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითების განახლება	ოჯახური დანაშაულისა და ოჯახში ძალადობის საქმეებზე სრულყოფილი გამოძიების ჩატარების, ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტში, პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლებისთვის განახლდა სახელმძღვანელო მითითება „სისხლის სამართლის კოდექსის 11^1 და 126^1 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე გამოძიების საპროცესო ხელმძღველობის განხორციელების შესახებ“.		

			2.1.2.დ ოჯახური და სქესობრივი დანაშაულების საქმეებზე სპეციალიზებულ პროკურორთა დატვირთვის ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში, დამატებით სპეციალიზებულ პროკურორთა რაოდენობის განსაზღვრა	საქართველოს პროკურატურაში ფუნქციონირებს პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა დატვირთვის მონაცემთა ანალიტიკური პორტალი, სადაც ყოველდღიურად, განახლებად რეჟიმში, პროგრამულად მუშავდება მონაცემები პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა მიერ განხორციელებული ქმედებების შესახებ და განისაზღვრება მათი დატვირთვის მაჩვენებელი, როგორც სტრუქტურული ერთეულის შიგნით, ასევე ურთიერთშედარებადი სტრუქტურული ერთეულების მასშტაბით. ოჯახურ და სქესობრივ დანაშაულთა საქმეებზე სპეციალიზებულ პროკურორთა დატვირთვის განსაზღვრისა და მონაცემთა ანალიზისთვის, მომზადდა ტექნიკური ამოცანა, რომელიც ითვალისწინებს სპეციალიზებულ პროკურორთა დატვირთვის მონაცემებში იმ ქმედებების იდენტიფიცირებას, რომლებიც განხორციელებულია		

				ოჯახური და სქესობრივი დანაშაულის საქმეთა ფარგლებში. აღნიშნული უწყებას შესაძლებლობას მისცემს, განსაზღვროს სპეციალიზებულ პროკურორთა დატვირთვის რამდენ პროცენტს შეადგენს ოჯახურ ან/და სქესობრივ დანაშაულთა საქმეებზე, მათ მიერ განხორციელებული ქმედებები. ტექნიკური ამოცანის პროგრამული დამუშავება განხორციელდება ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ.		

		2.1.3 საქართველოს პროკურატურაში ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების აღრიცხვისა და ანალიზის საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების ინტეგრირება	2.1.3.ა ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობასა და სქესობრივ დანაშაულებზე მონაცემთა შეგროვების საერთაშორისო სტანდარტების და მოთხოვნების იდენტიფიცირება	საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტსა და საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტში დაიდენტიფიცირდა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის („გრევიო“) სტატისტიკურ მონაცემთა აღრიცხვის "დიდი ხუთიანის" („THE BIG FIVE”) სტანდარტი, რაც გულისხმობს ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობასა და სქესობრივ დანაშაულებზე შემდეგი სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემის აღრიცხვას: ბრალდებულის და დაზარალებულის/ მსხვერპლის სქესი, ასაკი, ბრალდებულის სოციალური კავშირი დაზარალებულთან/ მსხვერპლთან, ძალადობის ფორმა, ტერიტორიული განფენილობა.	საქართველოს პროკურატურა **მხარდამჭერი:** დონორი ორგანიზაციები	2022-2024

			2.1.3.ბ მონაცემთა რეგულარული შეგროვება და განახლება, იდენტიფიცირებული სტანდარტების მიხედვით	საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, ფემიციდის, ოჯახური და სქესობრივი დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებზე სტატისტიკური მონაცემები აღირიცხება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის („გრევიო“) სტატისტიკურ მონაცემთა აღრიცხვის "დიდი ხუთიანის" („THE BIG FIVE”) სტანდარტის შესაბამისად.		
			2.1.3.გ ყოველწლიურად აღრიცხული სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე	„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის და პრევენციის წინააღმდეგ ევროპის საბჭოს“ კონვენციის (სტამბოლის კონვენციის) მოთხოვნათა შესაბამისად, ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის, ასევე სქესობრივი დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები აღრიცხულია და ყოველწლიურად ქვეყნდება საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე (იხ. https://pog.gov.ge/page/default/qalTa-		

				mimarT-genderuli-Zaladoba-da-ojaxshi-Zaladoba; https://pog.gov.ge/page/default/saqarTvelos-parlamentisTvis-wardgenili-angarishebi)		

ამოცანა 2.2 გენდერულად მოტივირებული დანაშაულის პრევენციის ხელშეწყობა	**ინდიკატორი 2.2.ა:** ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობასა და ოჯახურ დანაშაულზე პროკურატურის საქმიანობის შესახებ განხორციელებული საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების რაოდენობა**საბაზისო სამიზნე:** 3**შუალედური სამიზნე:** 10**საბოლოო სამიზნე:** 20**დადასტურების წყარო:** საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშები.	2.2.1 ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის შესახებ საინფორმაციო ღონისძიებების განხორციელება მოსახლეობასთან.* განსაკუთრებული აქცენტით მოწყვლადი ჯგუფების მიმართ	2.2.1.ა ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის შესახებ საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებთან (წელიწადში არანაკლებ 3 შეხვედრა)	2022 წლის 6 ოქტომბერს, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში აშშ-ს საელჩოს და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების (ფემიციდის) წინააღმდეგ მასშტაბური საინფორმაციო კამპანია „არა ფემიციდს“ დაიწყო. ფემიციდის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის მიზანს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ფემიციდის დანაშაულების პრევენცია წარმოადგენს. კამპანიის ფარგლებში მთელი საქართველოს მასშტაბით არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა. საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, სპეციალიზებულმა პროკურორებმა საქართველოს ყველა რეგიონში, მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრები გამართეს. კამპანიის ფარგლებში ჩატარდა 200-ზე მეტი ღონისძიება, რომელიც აერთიანებს საინფორმაციო შეხვედრებს	საქართველოს პროკურატურა **მხარდამჭერი:** დონორი ორგანიზაციები	2022-2024

				მოსახლეობასთან, ბაგა-ბაღების წარმომადგენლებთან, მანდატურებთან, სოციალურ მუშაკებთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან, სამედიცინო პერსონალთან. ასევე, სპეციალიზებული პროკურორები ესტუმრნენ ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებში მყოფ მსხვერპლებს, ჩატარდა მულტისექტორული სამუშაო შეხვედრები, კონფერენცია ფემიციდის თემაზე, არტ-ნამუშევრების კონკურსი და გამოფენა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, აღმოსავლეთ საქართველოს 25 ქალაქში, დასავლეთ საქართველოს 22 ქალაქში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 4 ქალაქში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის მოსახლეობასთან ჩატარდა 100-ზე მეტი საინფორმაციო შეხვედრა. ასევე, სპეციალურად		

				დამზადდა ბუკლეტები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.		

			2.2.1.ბ ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის შესახებ ინფორმაციის გაზიარება სოციალური მედიის საშუალებით/ საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე	საქართველოს პროკურატურისთვის საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. შესაბამისად, საქმიანობის გამჭირვალობის და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, ლეგიტიმური საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილებისთვის პროაქტიულად ახდენს ინფორმაციების გავრცელებას, როგორც ზოგადი სტატისტიკის, მიმდინარე ტენდენციების, ასევე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების შესახებ. 2022-2023 წლებში, საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა 121 პრეს-რელიზი ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის, ასევე ფემიციდის საკითხებზე კამპანიის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.		

			2.2.1.გ ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის შესახებ საინფორმაციო შეხვედრები სკოლის მოსწავლეებთან და სტუდენტებთან	2022-2023 წლებში, ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საქმეებზე სპეციალიზებულმა პროკურორებმა ფემიციდის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, საქართველოს 6 ქალაქში 17 საჯარო ლექცია ჩაატარეს სხვადასხვა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან. სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, მანდატურებთან და მოსწავლეებთან ჩატარდა 62 საინფორმაციო შეხვედრა. 6 საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა თბილისის ბაგა-ბაღის საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორებთან. შეხვედრებზე განიხილეს ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის, ასევე ქალთა მკვლელობის სისხლის სამართლის საქმის ასპექტები, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობასთან და სასამართლოში საქმის არსებით განხილვასთან დაკავშირებული		

				საკითხები. ყურადღება გამახვილდა მტკიცებულებათა სტანდარტზე, მსხვერპლთა დაცვის სამართლებრივ ღონისძიებებსა და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ფუნქციებზე სამართალწარმოების პროცესში. 2023 წელს საქართველოს პროკურატურა აქტიურად ჩაერთო ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი გლობალური კამპანიის ფარგლებში, რომელიც მსოფლიოს 187 ქვეყანაში 1991 წლიდან აღინიშნება და მიზნად ისახავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად. კამპანიის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, პროკურატურის ორგანიზებით სულ 31 ღონისძიება ჩატარდა, მათ შორის საქართველოს მასშტაბით პროკურორებმა 10 შეხვედრა ჩაატარეს მოსწავლეებთან, სტუდენტებან და მასწავლებლებთან.		

			2.2.1.დ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის შესახებ საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან (წელიწადში არანაკლებ 2)	2022 წელს სპეციალიზებული პროკურორები და პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები საქართველოს 4 ქალაქში: თბილისში, გორში, სენაკსა და ზუგდიდში ესტუმრნენ ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებს და შეხვდნენ ძალადობა გამოვლილ მსხვერპლ ქალებს. შეხვედრებზე პროკურატურის წარმომადგენლებმა, ბენეფიციარებს მათი უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებზე ინფორმაცია მიაწოდეს. ასევე, ისაუბრეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და დაზარალებულთა საჭიროებების გათვალისწინებაზე პროკურორების საქმიანობაში, მათთვის სპეციალური სერვისების მიწოდებაზე, სამართალწარმოების პროცესში ძალადობის შესახებ ინფორმაციის დროულად შეტყობინების მნიშვნელობასა და მათთვის საინტერესო სხვა სამართლებრივ საკითხებზე. 2022 წლის 24-25 ივნისს, პროკურორებმა და მოწმისა და		

				დაზარალებულის კოორდინატორებმა მონაწილეობა მიიღეს ,,Tbilisi Open Air“-ის ფესტივალში. ფესტივალზე დამსწრე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, პროკურატურის წარმომადგენლებმა დაინტერესებულ პირებს ინფორმაცია მიაწოდეს შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულზე პროკურატურის მიერ განხორციელებული რეფორმების შესახებ. ასევე, მონაწილეობა მიიღეს ევროპის საბჭოს აქტივობებში, რომელთა მიზანს თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და დისკრიმინაციის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირების მექანიზმების შესახებ საზოგადოების ინფორმირება წარმოადგენდა. 2023 წლის 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე პერიოდში, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი გლობალური კამპანიისა და ფემიციდის წინააღმდეგ კამპანიის ფარგლებში, საქართველოს		

				სხვადასხვა რეგიონში პროკურორებმა 10 შეხვედრა ჩაატარეს ადგილობრივ მოსახლეობასთან.		

ამოცანა 2.3 კოორდინაციის გაუმჯობესება საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით	**ინდიკატორი 2.3.ა:** ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მულტი სექტორული თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული ინიციატივების რაოდენობა **საბაზისო:** 1 **შუალედური სამიზნე:** 2 **საბოლოო სამიზნე:** 4 **დადასტურების წყარო:** სამუშაო შეხვედრების ოქმები.	2.3.1 ქალთა საკითხებზე მომუშავე სამთავრობო უწყებებთან, საერთაშორისო პარტნიორებთან და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება	2.3.1.ა საკონსულტაციო და საკოორდინაციო შეხვედრა გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო უწყებებთან, საერთაშორისო პარტნიორებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან	2022 წლის 11 ნოემბერს, პროკურატურის ორგანიზებით, კახეთში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მულტისექტორული ადგილობრივი საბჭოს სამუშაო შეხვედრა გაიმართა. სახელმწიფო უწყებების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა განსაზღვრეს შემდგომი, კოორდინირებული აქტივობები რეგიონში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართულებით ვითარების დადებითი ცვლილებისათვის. პროკურორებმა, შეხვედრის მონაწილეებს ფემიციდის, ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ, პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებების და რეგიონში არსებული გამოწვევების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია. ღონისძიებაზე, სახელმწიფო სამსახურების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მათი	საქართველოს პროკურატურა **მხარდამჭერი:** დონორი ორგანიზაციები	2022-2024

				საქმიანობის შესახებ ისაუბრეს და ის სერვისები განიხილეს, რასაც ოჯახური დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირებს, მათი საჭიროებების გათვალისწინებით სთავაზობენ. 2023 წლის 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე პერიოდში, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი გლობალური კამპანიისა და ფემიციდის წინააღმდეგ კამპანიის ფარგლებში, პროკურატურის ორგანიზებით, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე ადგილობრივი საბჭოს სხდომები საქართველოს 11 ქალაქში გაიმართა. სხდომები ჩატარდა მცხეთაში, გორში, რუსთავში, მარნეულში, ბოლნისში, თელავში, ახალქალაქში, ქუთაისში, ზუგდიდში, ბათუმსა და ოზურგეთში. სხდომებში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ადგილობრივი თვითმმართველობის,		

				აღმასრულებელი ხელისუფლების, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებმა. ადგილობრივი საბჭოს წევრებმა განიხილეს ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, ოჯახში ძალადობის, ფემიციდისა და ქორწინების იძულების დანაშაულებზე არსებული მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა თითოეული რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე და საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებული რეფორმები. იმსჯელეს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიმართულებით სახელმწიფო უწყებების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებზე, მსხვერპლთა გაძლიერებისა და უფლებების დაცვის მიზნით დანერგილ		

				საკანონმდებლო სიახლეებსა და აღსრულების მექანიზმებზე.		

			2.3.1.ბ ქალთა მიმართ გენდერული, ოჯახური და სქესობრივი დანაშაულების სისხლის სამართლის საქმეებში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების, გამოცდილების გაზიარებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, სამუშაო შეხვედრა პროკურორებისა და მოსამართლეების მონაწილეობით	2022 წლის 1 ნოემბერს, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე, მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (Bench&Bar) ფორმატში სამუშაო შეხვედრა გაიმართა. სამუშაო შეხვედრაში, მოსამართლეები, პროკურორები და ადვოკატები მონაწილეობდნენ. ევროპის საბჭოსა და სამართლის უზენაესობის პროგრამის (USAID) მხარდაჭერით გამართული შეხვედრის ფარგლებში, მონაწილეებმა განიხილეს ფემიციდის, ოჯახური დანაშაულებისა და ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე არსებული გამოწვევები. 2022 წლის 3-5 ნოემბერს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, პროკურატურის მენეჯერებმა და მოსამართლეებმა, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე, ერთობლივი სამუშაო შეხვედრა გამართეს. შეხვედრას, რომელიც ევროპის საბჭოს პროექტის -		

				„თანასწორობის დაცვისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ეფექტური მექანიზმების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში ჩატარდა, უზენაესი სასამართლოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სამუშაო შეხვედრის მონაწილეებმა, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით არსებულ მიღწევებსა და გამოწვევებზე იმსჯელეს. ასევე განიხილეს სისხლის სამართლის საქმეებში შეუწყნარებლობის მოტივის დამადასტურებელი მტკიცებულებების სტანდარტი, სასამართლოში საქმის განხილვის სპეციფიკა და პრეცედენტული გადაწყვეტილებები. ხაზი გაესვა აღნიშნული კატეგორიის დანაშაულებზე ერთგვაროვანი მიდგომის მნიშვნელობასა და მართლმსაჯულების ხარისხის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, საერთო მიმართულებები დაისახა.		

				2023 წლის 16 სექტემბერს, სქესობრივი დანაშაულის თემაზე, გაეროს ქალთა ორგანიზაციის და ევროპის საბჭოს ინიციატივით, პროკურორების, გამომძიებლების და მოსამართლეების მონაწილეობით ერთობლივი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას პროკურორები, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, პირველი და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები და უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. გამომძიებლების, პროკურორების და მოსამართლეების ერთობლივი სამუშაო შეხვედრა ხელს უწყობს სქესობრივი დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხებსა და მტკიცებულებათა სტანდარტზე სტამბოლის კონვენციის შესაბამისი, ერთიანი, სწორი ხედვის ჩამოყალიბებას, ასევე, საერთაშორისო სტანდარტების და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი საგამოძიებო, საპროკურორო და სამოსამართლო პრაქტიკის განვითარებას.		

				2023 წელს 11-13 ოქტომბერს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ორგანიზებით და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე პროკურატურის მენეჯერების და მოსამართლეების ერთობლივი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა ევროპის საბჭოს პროექტის - „თანასწორობის დაცვისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ეფექტური მექანიზმების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში გაიმართა, რომელსაც ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის და უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სამუშაო შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით არსებულ ტენდენციებზე, მიღწევებსა და		

				გამოწვევებზე. ასევე, განიხილეს სისხლის სამართლის საქმეებში შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთის ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის იმსჯელეს აღნიშნული კატეგორიის დანაშაულებზე სამართალწარმოების პროცესში დანერგილ მსხვერპლზე ორიენტირებულ მიდგომებზე. გარდა ამისა, დისკუსია შეეხო გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლოში საქმეთა განხილვის პრაქტიკულ ასპექტებს.		

			2.3.1.გ ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე მულტი დისციპლინური შეხვედრა სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებთან და უწყებებთან, თანამშრომლობის ხარისხის გაუმჯობესების, არსებული სერვისების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის ფლობის და კომუნიკაციის გამარტივების მიზნით	2022 წლის 25 ოქტომბერს, უწყებებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, პროკურორებმა და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებმა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის მსხვერპლთათვის სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებთან მულტისექტორული სამუშაო შეხვედრა ჩაატარეს. მულტისექტორულ შეხვედრაში მონაწილეობდნენ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე როგორც საჯარო, ისე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. ასევე, საქართველოს პროკურატურის სხვადასხვა ტერიტორიული დანაყოფის სპეციალიზებული პროკურორები და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები. შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია მათი საქმიანობის და იმ სერვისების შესახებ, რომელსაც დაზარალებულ		

				პირებს სთავაზობენ. 2022 წლის ოქტომბერში, ნოემბერსა და 2023 წლის მარტში, პროკურორები და პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები საქართველოს ხუთ ქალაქში: თბილისში, თელავში, გორში, სენაკსა და ზუგდიდში ესტუმრნენ ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებს და შეხვდნენ ძალადობაგამოვლილ მსხვერპლ ქალებს. შეხვედრებზე პროკურატურის წარმომადგენლებმა, ბენეფიციარებს მათი უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებზე ინფორმაცია მიაწოდეს. ასევე, ისაუბრეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და დაზარალებულთა საჭიროებების გათვალისწინებაზე პროკურორების ყოველდღიურ საქმიანობაში, მათთვის სპეციალური სერვისების მიწოდებაზე, სამართალწარმოების პროცესში ძალადობის შესახებ ინფორმაციის დროულად შეტყობინების მნიშვნელობასა და		

				მათთვის საინტერესო სხვა სამართლებრივ საკითხებზე.		
			2.3.1.დ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან	საქართველოს პროკურატურაში გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრაციის, ინსტიტუციური პოლიტიკისა და მექანიზმების გასაუმჯობესებლად, უწყების მიერ გენდერული თანასწორობის მიმართულებით		

				ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად და საერთო მიზნების მისაღწევად, პროკურატურა თანამშრომლობს საქართველოში მოქმედ საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან. 2024 წელს, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირებისა და კოორდინაციის გაუმჯობესების, ასევე პარტნიორობის გრძელვადიანი მონიტორინგისა და მართვის მიზნით, დაგეგმილია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება.		